



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველო რუსეთის გავლენის აგენტების სამიზნედ  
კიბერევოქაში

ირაკლი ჯღარკავა

131

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## ექსპერტის აზრი

ირაკლი ჯღარკავა

საქართველო რუსეთის გავლენის აგენტების სამიზნედ  
კიბერეკსოქაში

131

2019



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2019 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-2012-0

იმ დროს, როდესაც ნატოს „უსაფრთხოების ქოლგის“<sup>1</sup> ქვეშ საქართველოს მიღების საკითხი ჯერაც გაურკვეველია, რუსეთი საბჭოური სტილის ე.წ. „აქტიური ღონისძიებების გატარების“ ტაქტიკას მიმართავს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგისთვის საფრთხის შესაქმნელად. აშკარაა, რომ რუსეთის ინტერესი საქართველოს ნატოსკენ მისწრაფებების შეფერხებისა და სამხრეთელი მეზობლის თავისი გავლენის სფეროში შენარჩუნებისკენაა მიმართული. საამისოდ რუსეთი საქართველოში საყრდენად პრორუსულ აქტივისტებსა და თავის მიმართ კეთილგანწყობილ სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს იყენებს და მათი საშუალებით მტრულ საინფორმაციო კამპანიასაც აწარმოებს; ამასთან, საქართველოს კიბერსივრცეში არსებულ სისუსტეებზე ორიენტირებითა და მათი გამოყენებით ამ ქვეყნის დესტაბილიზაციას ცდილობს.

საბჭოთა კავშირი, გლობალური პროპაგანდისა და გავლენის სფეროს გაფართოების მიზნით, ცივი ომის პერიოდში „აქტიურ ღონისძიებებს“ მიმართავდა. ამ ტიპის ღონისძიებათა უმრავლესობა დღესაც აქტიურად გამოიყენება, რაც თავისთავად გულისხმობს დეზინფორმირების ხერხს, რომლის გამოყენებითაც უცხოურ მედიაში ვრცელდება ცრუ ინფორმაცია ან ჭორი კონკრეტული ქვეყნისა თუ ქვეყნების მოსახლეობისა თუ პოლიტიკური ელიტის შეცდომაში შეყვანის მიზნით.<sup>2</sup>

რუსეთის მიერ მედიაში ბოლო დროს გამოყენებული ტაქტიკის ფორმებს თუ დავაკვირდებით (მაგ., კრემლის გახმაურებული კამპანია 2014-2016 წლებში აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენის მოხდენის მიზნით)<sup>3</sup>, ინფორმაციის გაშუქების მეთოდი ცხადყოფს, რომ რუსეთი კვლავ განაგრძობს „აქტიური ღონისძიებების“ ტრადიციას საზღვრებს გარეთ რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების გასატარებლად, რასაც ე.წ. „გავლენის სააგენტო“ მართავს და ახორციელებს. გავლენის აგენტები ოპერაციულ დონეზე პრორუსულად განწყობილი მხარეა, სხვადასხვა სექტორის, კერძოდ, მედიის, პოლიტიკის, აკადემიური სფეროს, დიპლომატიური კორპუსის ან დაზვერვის სამსახურების წარმომადგენლები. გავლენის აგენტებს მკაცრი დავალება აქვთ მიღებული – საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობაში, პოლიტიკურ, ჟურნალისტურ საქმიანობაში, საზოგადოების ფართო წრეებსა თუ აკადემიურ სფეროში პრორუსული შეხედულებების შეტანა/დანერგვა/გავრცელება. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან რუსეთის ამ ტაქტიკის სამიზნეა.

## რუსეთის გავლენის აგენტები საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში

საქართველო ჩრდილოელი მეზობლისგან მომდინარე უსაფრთხოების მზარდი გამოწვევების წინაშე დგას. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური ძალების გამოჩენა, სახელდობრ, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმატება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში,<sup>4</sup> ამ ჯგუფის კონსერვატიული პოზიციიდან გამომდინარე, შეგვიძლია რუსეთის „დიდ გამარჯვებად“ მივიჩნიოთ.

რუსეთი მიზნად ისახავს საქართველოს პოლიტიკურ ელიტაზე გავლენა მოახდინოს პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური აქტივისტების მეშვეობით და საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთის მიმართ უფრო მეგობრული გახადოს. ამ მიზნების მისაღწევად რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტში პრორუსული განწყობების მქონე დეპუტატების არსებობა.

მაგალითად, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის საგარეო პოლიტიკის პროგრამა მიმართულია იმის ფორმულირებაზე, რომ ნატო არ არის მზად ახლო მომავალში მიიღოს საქართველო სრულუფლებიან წევრად.<sup>5</sup> ირმა ინაშვილი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს მთავრობას მოუწოდებს აღადგინოს პოლიტიკური და დიპლომატიური კავშირი რუსეთთან და ადვოკატირებას უწევს უსაფრთხოების ალტერნატიულ მიდგომას – საქართველო-ნატო-რუსეთი.<sup>6</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმატი ბუნდოვანებითაა მოცული და, უფრო მეტიც, იგი კიდევ უფრო ბუნდოვანსა და საკამათოს ხდის აღნიშნულ საკითხს, ინაშვილი მიიჩნევს, რომ ეს მოდელი მეტად სასარგებლო იქნება საქართველოს მთავრობისთვის უსაფრთხოების მექანიზმების მიმართულებით. პატრიოტთა ალიანსის მთავარი გზავნილის მიხედვით, ქართველები უფრო რეალისტურები უნდა იყვნენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს მომავლის მიმართ და სულაც აჯობებს დაივიწყონ ეს შესაძლებლობა. პატრიოტთა ალიანსის წევრები აცხადებენ, რომ ღრმად შემფოთებული არიან იმ მოცემულობით, რომ საქართველოს ინტეგრაციამ ევროპასთან შესაძლოა ქართული ტრადიციების რღვევა გამოიწვიოს. შესაბამისად, აქტიურად ეწევიან ზემოაღნიშნული დისკურსის პროპაგანდას.<sup>7</sup>

პატრიოტთა ალიანსის პოზიციები გაიზიარეს სხვა პრორუსულმა ჯგუფებმაც, რომელთა შორისაც არიან პრორუსი ბიზნეს-

მენი ლევან ვასაძე, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრი<sup>8</sup> და ულტრამემარჯვენე პოპულისტური ჯგუფები ქართული მარშის თაოსნობით. ყველა ეს ჯგუფი შეგვიძლია საქართველოში რუსეთის გავლენის აგენტებად მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოში გამოჩნდნენ სხვადასხვა მემარჯვენე, ულტრამემარჯვენე, პოპულისტური და ექსტრემისტული პოლიტიკური ჯგუფები თუ დაჯგუფებები,<sup>9</sup> რომელთაც ხშირად ქსენოფობიური, ანტი-ლგბტ პოზიციები და პრორუსული ნარატივები აერთიანებთ. უფრო მეტიც, საქართველოში მემარჯვენე პოპულისტური მოძრაობების აღსაწერად გამოყენებული ტერმინების სიმრავლე (მემარჯვენე ფრთა, ულტრამემარჯვენე, მემარჯვენე-ექსტრემისტული, ნაციისტური, ნეონაციისტური, ფაშისტური, პოპულისტური და ა.შ.), მიუთითებს ქართულ საზოგადოებაში არსებულ დაბნეულობაზე, რომელსაც უჭირს არსებული ჯგუფებისა და ინდივიდების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია. ამიტომ სასურველია, მათი დაჯგუფება მოხდეს მათ შორის არსებული საერთო პოლიტიკური ნარატივებისა და მიზნების მიხედვით, რაც გულისხმობს საქართველოს ვესტერნიზაციის პროცესის შეფერხებას დასავლეთის იდეალებისა და პრინციპების შესახებ ქართული საზოგადოების შეცდომაში შეყვანითა და დეზინფორმაციით, დასავლეთის იმიჯის დასუსტებას პრორუსული დღის ნესრიგის წინ წამოწევით, რომელიც ეფუძნება საზიარო წარსულს რუსეთთან [საბჭოთა კავშირის პერიოდში] და მართლმადიდებელ-ქრისტიანული სარწმუნოების საერთო ნარატივებს.

მემარჯვენე პოპულისტურ და ანტიდასავლურ მოძრაობებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ ასეთი გამორჩეული ჯგუფია „ქართული მარში“, რომელიც შეიქმნა 2017 წლის ივლისში. „ქართული მარშის“ ლიდერებს ყოფილი მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე და მმართველი კოალიციის – „ქართული ოცნების“ ყოფილი მხარდამჭერი გია კორკოტაშვილი წარმოადგენენ. მოძრაობა ეფუძნება ქსენოფობიურ პლატფორმებს და აერთიანებს ანტი-იმიგრაციული პოზიციების მომხრე ინდივიდებს (განსაკუთრებით, მუსლიმური ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანების მიმართ ზიზღი). აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნება“ აგრეთვე წინააღმდეგია უფლებრივად გაუთანაბროს ლგბტქ-თემი საზოგადოების დანარჩენ წევრებს, ქართული ტრადიციული ოჯახის ღირებულებების დაცვის მოტივით. „ქართული მარში“ ჩამოყალიბდა, როგორც კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ამ ჯგუფის სხვა წევრებთან ეფექტურ

კომუნიკაციას ახერხებს და აქცენტებს აკეთებს იმ პოზიციებზე, რომლებიც ფართო მასებისთვისაა მიმზიდველი. ეს ნათლად გამოჩნდა ნოემბერში გამართული ანტი-ლგბტქ პროტესტის დროს, როდესაც ჯგუფის წევრებმა გეითემატიკის ფილმის ჩვენება დაგმეს თბილისის კინოთეატრებში. ეს ფაქტი ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია „ქართულ მარშს“ საკუთარი მომხრეების მობილიზების გზით.<sup>10</sup> აქტიურობის ეს ფორმა, რომელიც რასიზმსა და ჰომოფობიას ეფუძნება, კრემლის ინტერესებს ემთხვევა – ქმნის დესტაბილიზაციას საქართველოში, ახდენს მოქალაქეთა პოლარიზებას და ასუსტებს საქართველოს პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას.

მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელი გამოკითხვების მიხედვით, საქართველოს ევროკავშირის დღის წესრიგსა და ევრო-ატლანტიკურ მიზნებს საქართველოს მოქალაქეები ჯერ კიდევ აქტიურად უჭერენ მხარს (ევროკავშირში საქართველოს განწევრიანებას მხარს უჭერს მოსახლეობის 78%, ნატოში განწევრიანებას კი – მოსახლეობის 71%).<sup>11</sup> აქედან გამომდინარე, რუსეთის მთავარ საყრდენს საქართველოში წარმოადგენს მისი გავლენის აგენტების გააქტიურება, რათა ქვეყანაში შეასუსტოს ნდობა ნატოსა და პროდასავლური პოლიტიკური პარტიების მიმართ.

ამისათვის რუსეთი ცდილობს თავისი სატელიტური ორგანიზაციებისა და აქტივისტების გამოყენებას საქართველოში. რუსეთმა უფრო ინტენსიური გახადა დიალოგი საქართველოს „პარტიოტთა ალიანსის“ წევრებთან მოსკოვში ვიზიტით, სადაც ისინი რუს პარტნიორებთან შეხვედრით ხაზს უსვამენ ორ ქვეყანას შორის ღრმა ურთიერთობის აუცილებლობასა და პრორუსული მხარდამჭერების აქტიურობას საქართველოში, როგორც არის, მაგალითად, პრორუსი ბიზნესმენი ლევან ვასაძე, თავისი ცნობილი ანტიდასავლური დღის წესრიგით.<sup>12</sup>

ვინაიდან საქართველოს ოფიციალურად არ უთქვამს უარი პროდასავლურ ორიენტაციაზე, რუსეთის მიზანი, საქართველოს პოლიტიკური კურსის შეცვლა ქვეყნის პოლიტიკაში პრორუსული მოაზროვნე აქტივისტების გააქტიურებით მოახდინოს, უფრო აქტიურ ფაზაში გადადის.

## რუსეთის მტრული საინფორმაციო კამპანიები საქართველოს წინააღმდეგ – საქართველოს სუსტი მხარეები კიბერსივრცეში

21-ე საუკუნეში რუსეთის ფედერაციამ, ვლადიმირ პუტინის ადმინისტრაციის მმართველობით, წარმატებით შეძლო საბჭოთა კავშირის „აქტიური ღონისძიებების“ ტაქტიკის რევიზია თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით. რუსეთი ინტერნეტს და სოციალური მედიის არხებს მტრული საინფორმაციო კამპანიებისათვის (ე.წ. საინფორმაციო ომი) იყენებს. იგი ასევე ცდილობს კიბერშეტევებით წარმოაჩინოს საქართველოს სუსტი მხარეები ამ სივრცეში. მიანიშნებს რა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაში შეღწევისა და თავდასხმის სიმარტივეს, რუსეთი მეტად სამიში ხდება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ნათელია, რომ ინტერნეტმა რუსეთს შესაძლებლობა მისცა სწრაფად და მარტივად მოეხდინა მისი სამიზნეების იდენტიფიკაცია, რაც უფრო ეფექტური და ეკონომიური გამოდგა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთისთვის საინფორმაციო ომს ფართო მნიშვნელობა აქვს და მოიცავს დაზვერვას, კონტრდაზვერვას, შენიღბვის ხელოვნებას, დეზინფორმაციას, საინფორმაციო სისტემების დესტრუქციასა და პროპაგანდას, ე.წ. DDoS (ინტერნეტსერვერებისა და ქსელების მიზანმიმართული შეფერხება) შეტევებსა და კიბერჯაშუშობას. ეს არის საინფორმაციო ომის ერთ-მანეთთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, რომელთაც რუსეთი ყოველდღიურად იყენებს.<sup>13</sup>

2019 წლის ოქტომბერში განხორციელებულმა კიბერთავდასხმამ აჩვენა, რომ კიბერომის დროს საქართველოს თავდაცვის მცირე შესაძლებლობა აქვს. კიბერთავდასხმის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა 2000-ზე მეტი ვებგვერდი, მათ შორის, პრეზიდენტის, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო კომპანიებისა და ტელევიზიების ვებგვერდები. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, კიბერთავდასხმის სამიზნე ფგუფიდან და მასობრიობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს შეტევა რომელიღაც მტრულად განწყობილი სახელმწიფოს დაკვეთაზე მიანიშნებს. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველო კიბერშეტევის მსხვერპლი ხდება. ჯერ კიდევ 2008 წლის ივლისში (რუსეთ-საქართველოს ომამდე) სიმძლავრით მსგავსი თავდასხმა განხორციელდა საქართველოზე რუსე-



თის მხრიდან.<sup>14</sup> მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც ოფიციალურმა რუსეთმა უარყო თავისი შესაძლო მონაწილეობა, აღინიშნა, რომ რუსეთში მცხოვრებ ინდივიდებს დამოუკიდებლად (ოფიციალური დაკვეთის გარეშე) შეეძლოთ განხორციელებინათ კიბერშეტევა საქართველოზე,<sup>15</sup> რაც, თავის მხრივ, რუსეთს აძლევს საშუალებას უარყოს თავისი პირდაპირი მონაწილეობა ფაქტების არარსებობის გამო.

მართალია, საქართველოს მთავრობამ ქვეყნის წინაშე მდგარი კიბერსაფრთხეები ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისა (2012 წლის იანვარი) და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტებში (2017-2020 წლები)<sup>16</sup> ასახა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ახლახან მომხდარმა კიბერთავდასხმამ გამოავლინა, საქართველოს მთავრობას არ გაუთვალისწინებია დოკუმენტებში წარმოდგენილი საკუთარი რეკომენდაციები და დებულებები, რომ თავი დაეცვა შესაძლო კიბერთავდასხმისაგან. მაგალითად, 2012 წლის სტრატეგიაში ხაზგასმულია ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მისწრაფებები. სტრატეგიაში აგრეთვე მოყვანილია 2008 წლის ომის დროს რუსეთის მხრიდან განხორციელებული როგორც სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო თავდასხმების სერია, ისე კიბერშეტევები და ხაზგასმულია კიბერსივრცის დაცვის გაძლიერების საჭიროება, რომელიც აუცილებლად უნდა განახორციელოს ქვეყანამ, და აგრეთვე ინვესტიციების მოზიდვა, რათა ქვეყანამ დაიცვას თავი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო თავდასხმებისგან. 2017-2020 წლების საქართველოს თავდაცვის სტრატეგიის მიმოხილვის მიხედვით, რუსეთის ფედერაციისგან მომდინარე საფრთხეები კვლავ რჩება თავდაცვის მთავარ გამოწვევად საქართველოსთვის. სტრატეგიაში აღწერილია თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო ძალების განვითარების პრიორიტეტები, ლაპარაკია ახალ სტრუქტურაზე, რომელზეც სამხედრო ძალები 2020 წლისთვის გადავლენ. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკა საქართველოს უსაფრთხოების გარემოსთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს. თავდაცვის სამინისტრო აგრეთვე ვარაუდობს პრორუსული აქტივისტების შენიღბულ მოქმედებებსა და რბილი ძალის აქტივობების გაძლიერებას, ელის კიბერთავდასხმებს საქართველოს დესტაბილიზაციისთვის. სტრატეგიის ავტორები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ რუსეთი ცდილობს გააძლიეროს თავისი სატელიტი ჯგუფები, რათა დაასუსტოს სახელმწიფო ინსტიტუტები

და მოახდინოს საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკის დისკრედიტაცია.<sup>17</sup>

უნდა აღინიშნოს საშიში ტენდენცია, რომ კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული დანაშაულის რაოდენობა დღითი დღე იზრდება. თავდაცვის სტრატეგიის მიმოხილვის გამოქვეყნებამდე საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთი დოკუმენტი გამოაქვეყნა – კიბერუსაფრთხოების მეორე სტრატეგია 2016-2018 წლებისთვის.<sup>18</sup> სტრატეგიის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია საქართველოს კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის მთავარ საფრთხეს შემდეგი მიზეზების გამო წარმოადგენს: რუსეთის ფედერაციას არ შეუცვლია თავისი აგრესიული კიბერპოლიტიკა, უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციამ გაზარდა თავისი შესაძლებლობების არეალი კიბერთავდასხმებში და მესამე – გააუმჯობესა კიბერტექნიკის გამოყენება ფსიქოლოგიური გავლენის მოსახდენად. 2008 წლიდან გაიზარდა საქართველოს დამოკიდებულება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, რაც შესაბამისად ზრდის მასზე კიბერთავდასხმის შესაძლებლობასაც.

კიბერთავდასხმების გახშირებასთან ერთად იცვლება უსაფრთხოების გარემოც. რასაკვირველია, ეს მასობრივი კიბერთავდასხმები საქართველოს უსაფრთხოების ღრმა სისუსტეებზე მიაწინებს.

ამრიგად, როდესაც რუსეთის სამოქმედო გეგმის ფოკუსი მიმართულია საქართველოს პროდასავლური ელიტისა და ხელისუფლების ნდობის დასუსტებისკენ, რუსეთი ცდილობს აქტიურად გამოიყენოს თავისი დაფინანსებული სახელმწიფო მედიისა და ინტერნეტკვლევის სააგენტოს წარმომადგენლები, ანუ გავლენის აგენტები მანიპულაციისა და დეზინფორმაციისთვის. მაგალითად, 2018 წლის დეკემბერში რუსეთის მიერ დაფინანსებულმა მედიასაშუალებმა „სპუტნიკ-ნიუსმა“ გამოაქვეყნა სტატია, სახელწოდებით „რუსეთი შეშფოთებულია აშშ-ის ბიოლოგიური აქტივობებით საქართველოში“.<sup>19</sup> სტატიაში გადამონმებისა და სრულყოფილი ინფორმაციის გარეშე წარმოდგენილი დასკვნები ეფუძნება საქართველოს ყოფილი სახელმწიფო უსაფრთხოების მინისტრის, იგორ გიორგაძის განცხადებას, რომელიც ბრალდებულია სახელმწიფო გადატრიალების საქმეში და რომელიც რუსეთში იმყოფება.<sup>20</sup> სტატიის საპასუხოდ, რუსეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა: „ამერიკის მიერ დაფინანსებული რიჩარდ ლუგარის ლაბორატორია,

სავარაუდოდ, ხელმძღვანელობს ბიოლოგიური იარაღის ტესტირებას და ელოდება ცენტრის აქტივობებთან დაკავშირებით ამერიკული და ქართული მხარისგან მეტი ინფორმაციის მიღებას“. ეს ფაქტი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ მუშაობს რუსეთის მტრული დეზინფორმაციის მანქანა, რაც უფრო მეტ ყურადღებას და მოქმედებას მოითხოვს ქართული მხარის შესაბამისი ოფიციალური უწყებებისგან.

დღეს რუსეთი აქტიურად მიმართავს სხვადასხვა მედია-ელემენტის აგენტებად გამოყენების პრაქტიკას. ამასთან, რუსეთის კიბერშესაძლებლობები მთავარი იარაღია საქართველოს პროდასავლური დღის წესრიგის დასასუსტებლად.

## დასკვნა

ვიდრე საქართველო რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაშია ჩართული, ქვეყანამ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე უსაფრთხოების მექანიზმები უნდა გააძლიეროს. საგულისხმოა, რომ ბოლოდროინდელი ანტისამთავრობო პროტესტი და შემდეგ განვითარებული მოვლენები, რაც საქართველოში რუსეთის დუმის წევრის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან გაკეთებულ განცხადებას (2019 წლის ივნისი)<sup>21</sup> მოჰყვა, ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და ძალადობის (კრიზისების) მართვის პრობლემაზე მიუთითებს. ეს კი მთავრობაში ღრმად ფესვგადგმული პრობლემების მაჩვენებელია. უფრო მეტიც, რთულია იმის თქმა, რომ საქართველოს ხელისუფლება სათანადო ყურადღებას აქცევს რუსეთიდან მომდინარე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს, რუსეთის გავლენის აგენტების პოლიტიკურ დონეზე საქმიანობის მიმართულებით. მივიღეთ ფაქტი, რომ საქართველომ ვერ შეძლო კიბერსივრციდან მომავალი საფრთხეების ადეკვატურად შეფასება და თავიდან აცილება, რაც ძალიან მწვავე პრობლემების წინაშე აყენებს ქვეყანას.

აუცილებელია საქართველომ გადახედოს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებს, რათა განსაზღვროს, თუ რამდენად არის ქვეყანა მზად გაუმკლავდეს 21-ე საუკუნის საჭიროებებსა და გამოწვევებს. აღნიშნულ საფრთხეებთან გასამკლავებლად საქართველომ უნდა შექმნას და უზრუნველყოს ეფექტური პლატფორმა ეროვნულ დონეზე, რათა აქტიურად შეენინააღმდეგოს ე.წ. ფეიკნიუსების, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებას,

რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს რუსეთის ან სხვა სახელმწიფოების მხრიდან. ეს, თავის მხრივ, რეალურ საფრთხეს უქმნის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგს. იმის გათვალისწინებით, რომ კიბერუსაფრთხოება უმნიშვნელოვანეს მიმართულებად იქცა ეროვნული უსაფრთხოებისთვის, აუცილებელია საქართველოს სამთავრობო უწყებებმა ეროვნული ინტერესებისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად დასახონ უსაფრთხოებაზე ორიენტირებული სტრატეგია.

საჭიროა სახელმწიფო დონეზე შეიქმნას კიბერუსაფრთხოების ცენტრები ან კიბერუსაფრთხოების ცენტრალიზებული დეპარტამენტი, რომელსაც ეყოლება ანტიპროპაგანდისტული და ანტიდეზინფორმაციული სამუშაო ჯგუფები. ეს დაეხმარება საქართველოს გამოასწოროს არსებული ვითარება და მზად იყოს, რომ იქცეს კონკურენტუნარიან მოთამაშედ 21-ე საუკუნის უსაფრთხოების დინამიკურ ბაზარზე.

## შენიშვნები

1. Jonathan Masters, “*The North Atlantic Treaty Organization (NATO)*,” Council on Foreign Relations, December 3, 2019. Available at: [www.cfr.org/backgrounder/north-atlantictreaty-organization-nato](http://www.cfr.org/backgrounder/north-atlantictreaty-organization-nato) (consulted on: December 4, 2019).
2. “Active Measures,” Federation of American Scientists (FAS), Available at: [www.fas.org/irp/world/russia/kgb/su0523.htm](http://www.fas.org/irp/world/russia/kgb/su0523.htm) (consulted on: November 25, 2019).
3. Clint Watts, “Russia’s Active Measures Architecture: Task and Purpose,” German Marshall Fund of the United States, Alliance for Securing Democracy, May 22, 2018. Available at: [www.securingdemocracy.gmfus.org/russias-active-measures-architecture-task-and-purpose/](http://www.securingdemocracy.gmfus.org/russias-active-measures-architecture-task-and-purpose/) (consulted on: November 25, 2019).
4. Alexandra Yatsyk, “Pro-Russian Parties in Georgia’s 2016 Parliamentary Election: A Growing Footprint?,” PONARS Eurasia, October 5, 2016. Available at: [www.ponarseurasia.org/article/pro-russian-parties-georgias-2016-parliamentary-election-growing-footprint](http://www.ponarseurasia.org/article/pro-russian-parties-georgias-2016-parliamentary-election-growing-footprint) (consulted on: December 4, 2019).
5. “Our Vision & Program,” Alliance of Patriots of Georgia. Available at: [www.patriots.ge/our-vision-program/](http://www.patriots.ge/our-vision-program/) (consulted on: November 27, 2019).
6. Thea Morrison, “Georgian Political Parties Criticize Alliance of Patriots for Second Visit to Moscow,” *Georgia Today*, October 5, 2017. Available at: [www.georgiatoday.ge/news/7760/Georgian-Political-Parties-Criticize-Alliance-of-Patriots-for-Second-Visit-to-Moscow](http://www.georgiatoday.ge/news/7760/Georgian-Political-Parties-Criticize-Alliance-of-Patriots-for-Second-Visit-to-Moscow) (consulted on: December 4, 2019).
7. Margarita Antidze, “Pro-Russian party wins a toe-hold in Georgia’s new parliament,” *Reuters*, October 11, 2016. Available at: [www.reuters.com/article/us-georgia-election/pro-russian-party-wins-a-toe-hold-in-georgias-new-parliament-idUSKCN12B1XF](http://www.reuters.com/article/us-georgia-election/pro-russian-party-wins-a-toe-hold-in-georgias-new-parliament-idUSKCN12B1XF) (consulted on: November 20, 2019).
8. “Anatomy of Georgian Neo-Nazism,” Transparency International Georgia, May 18, 2019. Available at: [www.transparency.ge/en/blog/anatomy-georgian-neo-nazism](http://www.transparency.ge/en/blog/anatomy-georgian-neo-nazism) (consulted on: November 24, 2019).
9. Tomas Baranec, “Rise of the Georgian Extreme-right: Lessons from the EU,” Strategic Policy Institute, 2018. Available at: [www.stratpol.sk/wp-content/uploads/2018/12/Rise-of-the-Georgian-far-Right\\_BaraneC\\_FIN.pdf](http://www.stratpol.sk/wp-content/uploads/2018/12/Rise-of-the-Georgian-far-Right_BaraneC_FIN.pdf) (consulted on: December 4, 2019).
10. “Protesters Clash with Police at LGBT Film Premiere in Georgian Capital,” *RadioFreeEurope RadioLiberty*, November 9, 2019. Available at: [www.rferl.org/a/protest-against-lgbt-gay-film-sweden-georgia-tbilisi-then-we-danced/30260713.html](http://www.rferl.org/a/protest-against-lgbt-gay-film-sweden-georgia-tbilisi-then-we-danced/30260713.html) (consulted on: December 4, 2019).
11. Laura Thornton, Koba Turmanidze, *Public Attitudes in Georgia, Results of July 2019 Survey*, CRRC. Available at: [www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues\\_ENG\\_For%20distribution\\_VF.pdf](http://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_ENG_For%20distribution_VF.pdf) (consulted on: November 20, 2019).
12. Ben Hodges, Shota Gvineria, “The New Iron Curtain,” CEPA, August 26, 2019. Available at: [www.cepa.org/the-new-iron-curatin](http://www.cepa.org/the-new-iron-curatin) (consulted on: December 4, 2019).

13. David J. Smith, *Russian Cyber Strategy and the War against Georgia*, Atlantic Council, January 17, 2014. Available at: [www.atlanticcouncil.org/blogs/natosource/russian-cyber-policy-and-the-war-against-georgia/](http://www.atlanticcouncil.org/blogs/natosource/russian-cyber-policy-and-the-war-against-georgia/) (consulted on: December 4, 2019).
14. Will Englund, "In Echo of 2008 War with Russia, Georgia Hit with Massive Cyber-attack," *The Washington Post*, October 28, 2019. Available at: [www.washingtonpost.com/world/europe/in-echo-of-2008-war-with-russia-georgia-hit-with-massive-cyberattack/2019/10/28/63f57778-f9c2-11e9-8906-ab6b60de9124\\_story.html](http://www.washingtonpost.com/world/europe/in-echo-of-2008-war-with-russia-georgia-hit-with-massive-cyberattack/2019/10/28/63f57778-f9c2-11e9-8906-ab6b60de9124_story.html) (consulted on: December 4, 2019).
15. Davey Winder, "Georgia 'I'll Be Back' Cyber-Attack Terminates TV, Takes Down 15,000 Websites," *Forbes*, October 29, 2019. Available at: [www.forbes.com/sites/daveywinder/2019/10/29/georgia-ill-be-back-cyber-attack-terminates-tv-takes-down-15000-websites/#42bc36557a48](http://www.forbes.com/sites/daveywinder/2019/10/29/georgia-ill-be-back-cyber-attack-terminates-tv-takes-down-15000-websites/#42bc36557a48) (consulted on: December 4, 2019).
16. "Georgian MoD Adopts Strategic Defense Review for 2017-2020," *Civil Georgia*, Tbilisi, April 25, 2017. Available at: [www.old.civil.ge/eng/article.php?id=30054%20](http://www.old.civil.ge/eng/article.php?id=30054%20) (consulted on: November 20, 2019).
17. ოქჯი.
18. "Cyber-crime and Cyber-security Strategies in the Eastern Partnership Region," The Council of Europe, Bucharest, January 2019. Available at: [www.rm.coe.int/eap-cyber-crime-and-cybersecurity-strategies/168093b89c](http://www.rm.coe.int/eap-cyber-crime-and-cybersecurity-strategies/168093b89c) (consulted on: December 4, 2019).
19. "Russia Concerned Over US Biological Activities in Georgia - Deputy Minister," *Sputnik International*, December 19, 2019. Available at: [www.sputniknews.com/world/201812191070814362-russia-us-lab/](http://www.sputniknews.com/world/201812191070814362-russia-us-lab/) (consulted on: November 20, 2019).
20. Liz Fuller, "Georgia: Former Minister's Allies Accused of Plotting Coup," *RadioFreeEurope RadioLiberty*, September 7, 2006. Available at: [www.rferl.org/a/1071154.html](http://www.rferl.org/a/1071154.html) (consulted on: December 4, 2019).
21. "Georgia Protests: Thousands Storm Parliament over Russian MP's Speech," *BBC News*, June 21, 2019. Available at: [www.bbc.com/news/world-europe-48710042](http://www.bbc.com/news/world-europe-48710042) (consulted on: December 4, 2019).